F 221/1931 11-12



№ 11-12.

# დროშა

1931 წ.

ფასი 15 კაპ.

# საბჭოთა უკრაინასთან კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის.

1 ივლისიდან ტფილისში იწყება საბჭოთა უკრაინის კულტურის დეკადა. საქართველოს მშრომელ მასებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ მოძმე რესპუბლიკის უდიდეს მიღწევებს კულტურულ ფრონტზე, კერძოდ მხატვრული კულტურის დარგში, სამხატვრო გალერეიაში ეწყობა უკრაინის კულტურულ მიღწევათა გამოფენა, სადაც ვრცლად იქნება წარმოდგენილი უკრაინის, როგორც ძველი, ისე ახალი სახის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, უკანასკნელი წიგნის კულტურა და სხვა.

დეკადის განმავლობაში ტფილისის ყველა კინო-თეატრებში ნაჩვენები იქნება უკრაინული უკანასკნელი კინო-ფილმები. ტფილისში ჩამოდის უკრაინელ მწერალთა და კულტურულ მუშაკთა დელეგაცია, რომლის წევრებიც მოხსენებებით გამოვლენ ტფილისის ყველა მუშათა კლუბებში. ჩამოდის აგრეთვე უკრაინის საუკეთესო საბჭოთა თეატრი „ბერეზილ“, რომელიც ტფილისში გამართავს 10 წარმოდგენას.

ამ რიგად ეს დეკადა იქნება თანამედროვე უკრაინული კულტურის თითქმის სრული დემონსტრაცია. ამავე დროს სტუმრები დაათვალიერებენ საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

უკრაინული კულტურის დეკადა ტფილისში ღრმა პოლიტიკური-საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა. ურთიერთ მიღწევათა გაცნობა და შესწავლა ცხადია საფუძველს უქმნის მტკიცე კავშირს უკრაინის და საქართველოს საბჭოთა კულტურის მუშაკთა შორის, ამ რიგად იქმნება საბჭოთა კულტურული მშენებლობის მთლიანი ფრონტი, როგორც აუცილებელი პირობა მასების ინტერნაციონალური აღზრდისა და პროლეტარიატის კლასობრივი კულტურის მშენებლობისათვის.

ერთიიან სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრისათვის მთლიანი ფრონტი იბრძვის მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, შეუძლებლად ხდის საბჭოთა კავშირში შემავალ ძალთა მიერ საკუთარ ამ კულტურის განცალკევებულ მშენებლობას. კულტურულ ფრონტზედაც მოკავშირე რესპუბლიკებში, ნაციონალურ თავისებურებათა მიუხედავად ადგილი აქვს ანალოგიურ პროცესებს, ანალოგიურ სიძნელეებს მზგავს ამოცანებს. ამიტომაც ნაციონალურ-პროლეტარულ კულტურათა წარმატებით განვითარება შესაძლებელია მხოლოდ გამოცდილებათა და მიღწევათა სისტემატიური გაცვლა-გამოცვლის, მტკიცე ურთიერთობის, ორგანიულად დაკავშირების ნიადაგზე.

ჯამ ერთი წლის წინად გადაიდგა პირველი ნაბიჯები საბჭოთა უკრაინასთან კულტურული კავშირის დამყარებისათვის. საბჭოთა საქართველოს კულტურულ მიღწევათა პირველ მძლავრ დემონსტრაციას უკრაინაში წარმოადგენდა, საქართველოს I და II სახელმწიფო თეატრების გასტროლები ხარკოვში. ამ თეატრების გასტროლებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს საერთოდ საბჭოთა საქართველოს კულტურის მიმართ და აამოძრავეს უკრაინის პროლეტარული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა საქართველოსთან კულტურული კავშირის განმტკიცების სასარგებლოდ.

უკრაინის სახელგამმა გამოსაცემად მიიღო რამოდენიმე ათეული ქართული ნაწარმოები, დიდი ალბომი ქართული ხელოვნების შესახებ და წიგნები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, უკრაინის სახ. ოპერამ დასადგმელად მიიღო „აბესალომ და ეთერი“. მთელმა რიგმა უკრაინელმა თეატრებმა თავიანთ რეპერტუარში შეიტანეს ქართული პიესები.

პარალელურად დაიწყო უკრაინული კულტურის პოპულარიზაცია საქართველოშიც, რომლის საუკეთესო გამოხატულება და გაღრმავება უნდა მოგვცეს მიმდინარე დეკადამ.



ბერეზილის თეატრის ხელმძღვანელი, სახალხო არტისტი ლეს კურბასი.



ბერეზილის თეატრის მთავარი მხატვარი ვადიმ მელლერი

F687
Г.П.Б. ... Лнгр 1931 г. Акт №





ბერეზილის თეატრის შეხვედრა ტფილისის სადგურზე. მარჯვნით, მიტინგზე: განათ. სახ. კომისარი არ. კვირიკაძე, ლეს კურბასი, პროფ. ნუცუბიძე და სხვა; მარცხნით: რეჟ. ახმეტელი და ბერეზილის თეატრის მსახიობი ქალი ჩისტიაკოვა.

უკრაინული კულტურის დეკადა კიდევ ერთხელ განამტკიცებს მშრომელი მასების შეგნებაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის აბსოლიუტურ სისწორეს. მხოლოდ ჩვენი პარტიის მიერ წარმოებულ ნაციონალურ პოლიტიკის ნიადაგზე, მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის პირობებში შეიქმნა შესაძლებელი უკრაინული კულტურის სრული გაშლა და განვითარება.

თუ სამასი წლის მანძილზე უკრაინაში ჩაკლული და მკაცრად შეზღუდული იყო კულტურული შემოქმედება, დღეს უკრაინა წარმოადგენს კულტურული წინმსვლელობის სიღრმისა და ტემპების სანიმუშო რესპუბლიკას, უკრაინას ეხლა აქვს მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურა უძლიერესი პროლეტარული სექტორით. მუსიკალური კულტურის დარგში არსებულ მიღწევათა მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ უკრაინაში არსებობს ძლიერი შემოქმედებითი ორგანიზაცია — პროლეტარულ მუსიკოსთა გაერთიანების სახით, უკრაინის კინო-მრეწველობას ერთ ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საბჭოთა კინემატოგრაფში. ასევე შეიძლება ითქვას, სახვითი ხელოვნების შესახებ.

რაც შეეხება თეატრალურ ფრონტს, აქ საბჭოთა უკრაინის ეხლანდელი მდგომარეობის საუკეთესო გამომხატველია თეატრი „ბერეზილ", რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახ. არტისტი—**ლეს-კურბასი**. ეს ერთი მოწინავე უძლიერესი თეატრთაგანია საერთოდ



თეატრი ბერეზილი „ოთხი ჩემბერლენი"

მთელს საბჭოთა კავშირში: იგი „თეატრალური ოქტომბრის" ერთი საუკეთესო მონაპოვართაგანია მეტად გაბედული ექსპერიმენტებით, მაღალხარისხოვანი ოსტატობით, მეტად კვალიფიციური არტისტული კოლექტივით და პროგრესიული მხატვრულ იდეოლოგიური ტენდენციებით. თუ იგი ჯერ კიდევ სავსებით ვერ არის გამსჭვალული პროლეტარული იდეოლოგიით, იგი უეჭველად მტკიცე ნაბიჯებით მიემართება ამ მდგომარეობისაკენ, რასაც მოწმობენ პროლეტარული დრამატურგია. უკრაინის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელის, ამხ. **მიკიტენკოს** პიესების მეტად საინტერესოდ განხორციელება ამ თეატრის სცენაზე.

რასაკვირველია კულტურული მშენებლობის ასეთი მასშტაბი და ტემპები სავსებით განპირობებულია იმ უდიდესი ძვრებით და მიღწევებით, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა უკრაინის სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტზე.

**ზ. ქლენტი.**



თეატრი ბერეზილი „საბალხო მალახია"-ი. ქულიშის დადგმა ლეს კურბასის

სინომ წვერავა

# ხუთწლედის გმირები

გაგრძელება

ზემოდ მოყვანილი დეფექტები სარემონტო ქარხანაში უფრო ადვილი გასაკეთებელია, რადგან თქვენ მოგეპოვებათ საკმარისი იარაღ-მანქანები და მოწყობილობა, ამავე დროს სამტრედიის საყუდს ევლინება თქვენი მექვაბეები.

და იწვევს ზედმეტ ხარჯებს. სამტრედიის საყუდის მუშები მოგიწოდებთ თქვენ, რომ შემკეთებელ ქარხნიდან იყოს შეკეთებით სრული ჯანსაღი, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტი.

სამტრედიის საყუდის მუშები თქვენთან გზავნის მუშათა ბრიგადას სამი კაცის შემადგენლობით და ვიმედოვნებთ, რომ თქვენ მათ აღმოუჩენთ ყოველივე დახმარებას და მასთან ერთად დასახავთ ღონისძიებებს."

ამ დროს ტრიბუნაზე ავიდა სამი კაცი, რკინის გზელები, მათ გამოჩენას მუშები სიხარულით შეხვდა, მხოლოდ ზოგიერთებში სირცხვილის გრძნობამ გაიღვიძა; მათ სახეებს სიწითლე ეპარებოდა. ვინც კი დააკვირდებოდა: გამოიცნობდა, რომ თავჩაღუნულნი, სახეზე წამოწითლებულნი, საქვაბოს მუშები იყვნენ.

ისინი ეხლა განიცდიდენ ამ ხალხის თვალების და საამქროების ყოველი საგნის დაწოლას. ამ ყოფაში მოქცეულნი გამოსავალს პოულობდენ მხოლოდ საკუთარი ძალღონის დარაზმვაში, რომ მომავალში გამოშვებული ქვაბები ხარისხით არ ყოფილიყო ცუდი.

—მართალია—სთქვა სეროჯამ— ჩვენ ვღებულობთ იმ მითითებებს, რომელიც აქ აღნიშნეს. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, გადაჭრით ვაცხადებ მთელი საამქროს სახელით, რომ მომავალში ასეთ რამეს ადგილი არ ექნება, ერთი რამ უნდა ვსთქვა: ჩვენს საამქროში ძალიან გახშირდა სიმულიანტობა. მე არავის მეშინია, ვიტყვი პირდაპირ: მექვაბე ხობულაშვილი გუშინ მეუბნებოდა: ამ სამ დღეში ვერ მოვალ ქარხანაში და შენთვის მომინდვია ქვაბის გაზვრეტაო. მე გამიკვირდა, თუ რატომ ვერ მოვიდოდა, მიზეზი არ სჩანდა. ვკითხე კიდეც და მიპასუხა: მე ვიცი რომ ექიმი ბიულეტენს მომცემსო, მე კი ვიცი ამხანაგებო, რომ ის ავად არ არის — მართალია,!— წამოიძახეს საქვაბოს მუშებმა.

—ვინ კვნესის?? ის, ვინც სამი გირვანქა რკინას მიათრევს. ის კი, ვინც ოთხ ფუთს მხარზე იდებს, არაფერს ამბობს. ეს ნიშნავს თუ არა, რომ სიმულიანტობა გახშირდა?— კიდევ დააყარეს ხმები;

—მართალია!

—მართალია!

საიდან იცოდა მან წინდაწინ, რომ მას ბიულეტენს მისცემდენ?— სთქვა ხელიხოვმა.

სეროჯის სიტყვებმა ყველას გალეშული სახეები დაამშვიდა, მერე მის სიტყვებს სხვა საამქროების მუშების გამოძახილი მოჰყვა.

იოსკამ ბოლოს მიმართა მოწოდებით მუშებს, რომ ეს სიტყვები და ეს დაპირებანი ხვალიდანვე შეუდულდეს იმ დაზგებს, იმ მანქანა-იარაღებს, რომელიც მათ ირგლივ ტრიალებს.

ელექტრო-მოძრავ მანქანის ირგვლივ ბზინავს და სასიამოვნოდ გამოიყურება დამკვრელების თვალები. მათში გუბდება ხალისიანი შრომის მაზუთის ფერი ტბა, შიგ სცურავს თვითეულის სახე, ფიქრები და განწყობილებანი.

ისინი ამ წუთში იოსკას მიერ გადმოსროლილი ლოზუნგების ირგვლივ ტრიალებენ, ითვისებენ ამ სიტყვებს, რომ ხვალიდან, ეს გრძნობა, ეს განცდა და ეს ცხოვრების აუცილებლობით გამოწვეული ტემპები გადასცენ თავიანთ საყვარელ დაზგებს, იარაღებს და რკინა ფოლადებს.

დღეს ხომ პირველი არ არის, რომ ამ საამქროს მუშები განიცდიან და იტვირთებიან გარემოს „დარკინულ, ჩამოშავებულ, მაზუთის და ნახშირის სუნით გაჟღენთილ ჰაერით. ისინი შეჩვეული არიან ამ მდგომარეობას, უყვართ საამქროს ყოველი დაზგა, რკინა, ფოლადი, ელექტრო ბურღი და ბევრი სხვა რამ, რაც მათ თვალწინ ყოველთვის მოძრაობაში არის, რომ ხუთწლედის გმირებს აღფრთოვანება, გაქანება და ცხოველური სიხალისე მიემატოს.

ამ ჰაერით სუნთქავს ამ წუთში საჩქაროდ მოწვეული მიტინგი, ამ სიხალისით ღელავს მათი გულები. ჯერ არც კი დაშლილიყვნენ, რომ ერთმა მუშამ იქვე კედელზე გააკრა დიდი პლაკატი:

„საკმარისია თუ არა ის ტემპები, რომელიც ჩვენ გავშალეთ? არა! ჩვენ ვერ მივეცით საბჭოთა კავშირს თექვსმეტი ორთქლმავალი!"

ამ პლაკატში გამოკვეთილი აზრი შემიესია ყველას ფიქრებში, ისე როგორც ეს მუშები შემოხვევიან იოსკას, ელექტრო ბაქანზე რომ დგას. იოსკასაც გაუჩერა ენა ამ პლაკატმა.

ჯერ არც კი შეეთვისებია ყველას ამ პლაკატის სიდიადე, რომ ამავე მუშამ გაშალა მეორე გრძელი პლაკატი და გააკრა კედელზე

პლაკატზე დახატულია ლურჯი და შავი ფერებით დიდი კუ, მასზე გადამჯდარია მუშა. კუსთვის პირში ამოდებული აღვირი მუშას ხელში აქვს მოსადავებული. ის მთელი ძალღონით ერეკება წინ. უნდა გაიქცეს, გაფრინდეს, მაგრამ კუ გაწოლილა მიწაზე, გაუშლია ფეხები ფართედ, თავი შეუტანია რკინასავით მაგარ ზურგის ქვეშ და არც კი გრძნობს, თუ ვინმე აზის მას. ქვეიდან თითქოს ელაპარაკება მუშას:

„არ წავალ, სანამ ლიკვიდაცია ქმნილი არ იქნება გარღვევა ამ ქარხანაში".

მუშა კი ოფლში იწურება, კუ მაინც თავისას განაგრძობს, არ იცვლის ფეხს ადგილიდან.

ამ პლაკატმა თითქოს ააფორიაქა ამ მუშების თვალები, ყურადღება, გრძნობები და თითქოს ამ წუთში იოსკას მათთვის არაფერი არ ეთქვას. იოსკაც მიაჩერდა მას. ამ პლაკატზე გამოხატულ აზრით: აყვირდა, და აჭივლდა შეშფოთდა თვითეულის მკლავებში ჩამდგარი ძალღონე, თვითეულის გულში მოთავსებული სიგულწრფელე და შრომისადმი სიმართლე. ერთ-წუთში თითქმის სულის თქმა შეუჩერდათ. ამ სიჩუმეში ხელიხოვი წამოიწია ზევით ნელნელა, მეორე ბაქანზე აიმართა, ხელები მაღლა ასწია და დაიყვირა:

—ამხანაგებო! დავსცხოთ, დაურთოთ ამ კუს, გაუჭეჭყოთ თავი ან დავსძრათ ადგილიდან. რა უნდა ჩვენში სიზანტეს, გაჩერებას, ერთი ადგილიდან დაუძვრელობას? ყველამ შემოხედა. მას მეორე მუშაც მიჰყვა:

—რომ მაგ კუს ავადგმევინოთ ფეხები, ამიტომ უნდა დავსცხოთ გარღვევებს, უფრო მეტად შევიყვაროთ ჩვენი გეგმები და ამ გეგმებში აღნიშნული ციფრი. მოვეფინოთ დაზგებს მუყაითად, გულდაგულ, ვინემ აქამდის. ამიტომ ვაცხადებ დამკვრელად თავს, რომ ამოვწყვიტ საამქროში გარღვევა. მას სხვებიც მიჰყვა.

ამოძრავებულ ენტუზიაზმს შემოემატა ახალი ჯერ განუზომელი დიადი ძალა. გამჟრულმა საამქრომ კივილით აძგრო დაზგებს, იარაღებს და შესაკეთებლად შემოყვანილ ორთქლმავლებს, რომ დაიძრა შრომის ახალი ტალღა, რომელიც მათ დაუვლის ტანში ელექტრო დენივით,

იგი შეიტანს მათ დაღლილ, დაქანცულ, გაცვეთილ ორგანიზმში სიჯანსაღეს, მოსპობს მათ ავადმყოფობას, სხეულში ჩაუდგამს მაგარ ხერხემალს. მის ირგვლივ გაიშლება მარლვები რკინა ფოლადის მასალით ამოვსებული, ჩამოსხმული და დაიხლართება სხვა და სხვა პატარ-პატარა ნაწილებად ორთქლმავალის რთული მექანიზმი.

ამას ეხლა გრძნობს ყოველი ორთქლმავალი, რომელიც შემოყვანილია შეკეთებაში. ამას ეხლა უფრო მძლავრად განიცდიან ამ საამქროს მუშები, იოსკას მოწოდებით, რომ ამოივსო მათი გულები და ფიქრები.

ისინი მიდიან ქარხნიდან.

მათ თან მისდევს: ქარხნის ყვირილი, მილებიდან ამოვარდნილი ბოლი, მაზუთის სუნი, შრომის შეუჩერებელ რიტმი და ტემპების გაშლილი მარულა.

მუშათა უბანი გუგუნებს.

მიდამოები იზმორება მანქანის აზარმაცებივით და მუშების გამურულ სახეებში აფენს ხალისიან სიცოცხლის ტკბილ გრძნობებს.

ტემპები ეუფლება ქარხანას.

ქარხანა კი, ხუთწლედის გმირების მხრებზე დაყრდნობილი სოციალიზმის ვეებერთელა შენობაში მთავარი ავურის ადგილს დაიჭერს.

სიმონ წვერავა.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

# იწვის ნაკაფი

**ნაწყვეტები მოთხრობებიდან.**



პანტელეიმონ ჩხიკვაძე

იწვის შვაგორა და ანასეული.

ნაკაფ ახოებს ცეცხლი ეკიდება. ტკაცუნებს შემდრალი ნოშო და ალში გახვეული ჯაგები ხანძარს მოჰგაგონებს. იწვის ნაკაფი.

იწვის საჩაიე მიდამოები და ცეცხლის წამკიდებელი პიონერები „ბალა-ბალას" გაიძახიან.

ცეცხლი ახალისებს მოზარდ ენტუზიასტებს:

ქარტეხილივით აფარდნილი ალი და კვამლი მათი ოცნების და სიხარულის საგანი გამხდარა.

—ტიტიკო! თავიდანაც წაუკიდე... აი, მოვიდენ ზევიდან. . თითს იშვერს მაღლა ხანძრის მეთაური და სამარითა ღიწალით ნაკაფს ასუფთავებს.

პიონერები ჟრიამულით შესევია ნაკაფ ახოებს. მოშორებით: ორასამდე კოლექტიველი მიწას აბრუნებს. აგერ წიფლის ჯირგვალას უპირებენ ამოგდებას:

გადანაჭარს ქვეშ მიწა გამოუთხრიათ და დინამიტის აფეთქებას ელოდებიან.

—ბუხ. ბუ ... ბუმ!—გრიალებს დინამიტები და სათამარო წესები გაგონდება უნებლიედ. არც ისე შორს არის ის დრო, როცა ანეულსა და ნასაკოფალზე განმანადგურებელი ცეცხლი ენთო კრიალოს-ალიხანოვის.

მაშინაც იწოდა გურია და მისი მიდამოები. ცეცხლი ეკიდებოდა მთასა და ბარს ოდას თუ სასიმინდეს: იწვოდა ხალხის ნაამაგარი.

სკდებოდა ტყვია იმავ ხალხის გასანადგურებლად.

დღესაც სათამარო წესებია ნაკაფ ახოებში: ასწლოვან წიფლის ძირებს უბამბარდირებენ ეხლა გურულები. ძირიანა თხრიან და გლეჯენ.

სკდება დინამიტები და:

—ბუუუ! აჯავრებენ აფეთქებას მოზარდი ენტუზიასტები.

საჩაიე მიწას ამზადებენ.

ჭადრაკულად უნდა დაითესოს აქ ჩაის თესლი. —არიგებს კოლექტივლებს აგრონომი.

—ჭადრაკულად? არ ივაგებს! —შეესიტყვენ გლეხები ახალგაზრდა აგრონომს — ჭადრაკული წესით ჩაის დარგვა რა ხანია უკუგდებულია გურიაში.

—ეგ მეც ვიცი, მაგრამ იქ ისეთი ნიადაგია, რომ ვფიქრობ ჭადრაკულმა აჯობოს—დაიმორცხვა აგრონომმა და წინააღმდეგობა აღარ გასწია. გლეხების სურვილს დაემორჩილა. გლეხებიც დადუმდენ.

ახალგაზრდაა ჩვენი აგრონომი, ახალ კურსდამთავრებული, ამიტომ ხშირად შეცდომასაც უშვებს პარქტიკულ ხასიათის საკითხებში. გლეხები უსწორებდენ. აგრონომი წითლდებოდა, მაგრამ ქვა არის გამოცდილება. გამოცდილება ვის არ მოლუნავს და ვის არ დაამუნჯებს. მით უმეტეს თუ ის თეორიულადაც სწორია და გევგმაშეხომილი.

—ბიძი, აქ ნოტიო ადგილია, წყლიანი. ჩაი არ იხარებს.—ამბობს ჭალარა ნესტორი. სარდიონიც ამასვე ადასტურებს.

აგრონომს არ სჯერა მარტო გამოცდილების და ცდას აჩალებს: ნიადაგი და კირწყალის სათანადო ხსნარი.

შედეგი თვალსაჩინოა:

—მართლაც არ იხეირებს აქ ჩაის ბუჩქი.

—აქ სხვა რამე უნდა შეურჩიოთ ამბობს აგრონომი.

ვაშაა! საალლუმო წესით გაისმა იქეთკენ, სადაც კომკავშირლები და პიონერები მუშაობდა დღეს საჩაიეში.

კომკავშირლები და პიონერები მორჩენ დღიურ განაკვეთის დამუშავებას და „ვაშას" ძახილიც ამას ნიშნავდა.

—ჯერ კიდევ ადრეა ამხანაგებო! ამბობს ტიტიკო.

ტიტიკო ახლა კომკავშირელია, კომკავშირის ბიუროს წევრი, ის აქტიური მუშაკია მთელი სოფლის ახალგაზრდობის შორის და ამიტომ სათანადო გავლენითა და პატივისცემით სარგებლობს. —დავეხმაროთ უფროს ამხანაგებს—უმატებს თვითონვე და მთელი რაზმით ახალსამუშაოზე გადადის.

სამხრობას გადაცდა.

მინდორში გუგუნებს განუწყვეტელი ყანური:

სამ ჯგუფად მღერიან ყანურს და ამიტომ თითქო განუწყვეტელიც ეჩვენება შორით მაყურებელს.

სხვა სიმღერები ვერ ეგუება მინდვრის სამუშაოს.

ყანური დიდ მოწონებაშია.

კარგია ყანური, როცა უხადოთ მღერიან მას გურულები ამ მხრივ განთქმულნი არიან.

საჯაოხური ყანური, თუგინდ აჭარული (ქობულეთური). ან კიდევ ჩვეულებრივი გურული ყანური.

საოცარია...

ისე ამხნევებს და აცრუებს მუშა ხელს ეს სიმღერა, რომ დაღლილობას ავიწყებს. მოქანცვას ჯერ ბრძნობს დილიდან სადამომდის. თოხზე იყო სხვა მძიმე სამუშაოზე მიკრული მუშა. ყანურით იწყება და იმითივე თავდება საჩაიეში მუშაობა. სად გინდა არ ისმოდეს შვაგორიდან გადმოვარდნილი გუგუნი ყანურის.

—შემოდგომაზე ვნახოთ, როგორი სიმღერის ხასიათზე იქნებით, შემოდგომაზე. იმჯილავს გულმკერდს სოფლის ბობოლა გაბრიელ გეგიძე და მშიშით გული უსკდება, რომ საცაა მის უკანასკნელ იმედს და ნუგეშს „წყაროს"-თან მდებარე ორ ჰექტარ მიწის ნაჭერსაც უახლოვდებიან.

—ვილუპები და ეს არის. ვილუპები. . მაგრამ. მაგრამ ამ ჯადო სიტყვას რომ ვერ გასცილებია მისი ფიქრები?! „მაგრამ"-ის იქით, რომ ვერ გადაულაჯებია . . .

—ვილუპები . . . ულლად ხარები. სამი გექტარი ჭალა. სამი—ახო და წიფლნარი.

—გეგიძე უმოძრაოდ აბრტებს თვალებს უხარმაზარ საჩაიეში, სადაც მისი კობტა ტყე რამოდენი საუკუნის მანძილზე ოფოფის ქოჩორივით იყო აყრილი და აქოჩრილი შუაგულ საყანეში მაგრამ წკეპელს ვინ გააგდებინებდა ამ ასწლოვან წიფლებს. კეცზე დასაფარებლად შქერის ფურცელს ვინ შეკრებდა გეგიძის ტყეში.

—ფოთოლი ნაკელია. შემოდგომაზე ჩამოცვივა დედა მიწას შეეძინება ნაკელად.—ამბობდა ყოველთვის გეგიძე და მთელ სოფელში არავინ ყოფილა ისეთი ბედნიერი ბავშობისას, რომ გეგიძეს ყურები არ აეგლიჯოს ფიჩხის მოხეკისა და შქერის ფურცლის შეკრეფისათვის.

—დედა ეტირა ახლა, აბა, მოვიდეს და გაბედოს რამე!

—გაბედოს. . . რას გაბედავს!—გულს იმაგრებენ დანაფრთხობი ბავშვები, მის შემდეგაც კი რაც ტყე ჩიმოართვეს გეგიძეს და თემს გადასცეს კოლექტივიზმათვის.

—გეგიძე მოდის, განგებ წამოიძახებენ ზოგჯერ ბავშვები და დანარჩენებს შიშით ფიჩხი ხელიდან უცივდება იმდენად დაფრთხალი და დამონავებული იყვნენ პატარეები გეგიძის სისასტიკით

—ეს ერთი წელია რაც სავსებით გაჩეხეს გეგიძის ტყე და ჩაის ბუჩქები დაამწკრივეს წიფლების ადგილას.

—როგორ აჩეხეს და გაკაფეს ყველაფერი? ნიაღვარი წაგვილებს ნიაღვარი!—ბრძოლობს გეგიძე და კოლექტივლებთან შეხვედრას ერიდება. გაბგელებული შორიახლო დაბორიალობს და თვითონვე ჩაიხველა სუსტი ნებისყოფის, იმის პროგნოზითა, და ღვარძლით დამოძღვრახა და გადაბირებას ლამობს. არსებულის წინააღმდეგ ასამხედრებლად ამზადებს.

რა დროს ეგ არის ჩემო გაბრიელ!—ზოგჯერ, დაცინვით უპასუხებენ მას ასეთ ღვარძლიან წინადადებაზე და გეგიძეს შიშით კვირაობით არ სძინავს ამის შემდეგ.

—„რად წამოვრთე ვაი თუ გამამხილოს", ფიქრობს გულგახეთქილი გეგიძე.

შვაგორაში მორჩენ მუშაობას. სერსერ ჯგუფად გადმოიარეს

ნაკაფში დარჩა ხელსაწყო, იარალი და ალაგალაგ ჯირგალებზე დანთებული ცეცხლი აკვამლებული ფოტროები,

2

ასრულდა დიდი ხნის მოლოდინი.

სოფლის მყუდროება ტრაქტორმა შეარხია.

უთენია აგუგუნდება, ის ჭალებში და დაბინდებასაც არ ერიდება, მთვარის შუქზე მიარღვევს ნიადაგს და სახნავ-სათესი მინდვრების გარშემო დაუსრულებელ წრეს აკეთებს.

—ზოგიერთები საყვედურობენ კიდეც:

—ეს რა მოუსვენარი რამე ყოფილა?!

—რა აზრიანლებს მაგ ოხერს, რა მოუვიდა?

—ავეიკლო და ეს არის, ბაღნები დამეხაურა!



აბასთუმანი. — ახალი სანა-ტორიუმი.



ბეჭარა ცემის ახალი სანა-ტორიუმი.

—დაგეხაფრა კი არა. კაი დროს წამოგვეშვე-
ლა თორემ... შარტო საჩაიეს ვერ აფეიდოდით.
ხუმრობა ხომ არ არის ჩვიდმეტი გექტარი მი-
წის სამ ნიშანზე გადაბრუნება...

—ჩაი არ უთესია ჩვენს მამაპაპას, მაგრამ სიმშილით არ დახოცილან. მოიგონეს ვითომ რაღაცა: კულტურული მცენარეები... სუბტროპიკული... მამა გიცხონდათ! თუ ფორთოხალი არ დააყოლოთ ტყემლიან ლობიოს ისე ყანწულს არ იქნებით—ენამწარიანობა გეგიძე და ლევანტის იშველიებს ყოველ სადაო საკითხზე, მაგრამ გაბედულად მაინც ვერ ახერხებს კოლექტიველებთან წინაადმდეგურად შედავებას და ეს კიდევ უფრო აბრაზებს და გულს უკუმშავს კოლექტივის საწინააღმდეგოდ ბრძოლისათვის სადერდელაშლილ გეგიძეს.

კოლექტივის ფართობი გააერთიანეს.

სახნავ-სათესი მიწები შემოთარჯეს.

საჩაიე ფართობი ცალკე გამოყვეს,

ცალკე სავენახე, სათუთუნე და რა ვიცი, ყოველნაირი კულტურას სათანადო ადგილი მიუჩინეს.

—გეგიძის მიწა საუკეთესო მიწად ითვლება სოფელში. სათუთუნედ ზედ გამოჭრილია, სავენახედ კიდევ უკეთესი,—დასვეს საკითხი კოლექტივის გამგეობაში.

—თუ გეგიძის მიწას დაეუფლებით მე ჩემს ეზოს ნაკვეთს სავსებით ეურთებ კოლექტივისას გვერდზე ბიძაჩემის მიწებიც მოედება და წელს თუ არა საგაისოდ ათი ათასამდე ვენახის ჩაყრას შევიძლებთ—შეიტანა ტიტიკომ წინადადება კოლექტივში და ამით სოფლის საბჭოს და აქტიურ კოლექტივების ყურადღებაც დაიმსახურა.

მართლაც ყველას უკვირდა ტიტიკოს ასეთი მტკიცე ნაბიჯები კოლექტივის მშენებლობის ფრონტზე. ჯერ იყო ტყის მიწები არტელს გადასცა, პალა კომკავშირთან ერთად დაიმუშავა და როცა კოლექტივი მოძლიერდა კოლექტივს შეუერთა—ულლად ხარები და ცხენი კოლექტივს გადასცა. ეზოს ერთ ნაწილში საცდელ-საჩვენებელი ბოსტანი გააშენა, ეხლა კი ეზოსთან მდებარე უკანასკნელი საკუთრებად მიჩნეული ორი გექტარი მიწა იმავე კოლექტივში შეიტანა იმ პირობით თუ გევიძესაც ჩამოართმევდენ მის სათადროზე მდებარე მიწის ფართობს და საერთო ძალღონით დაიმუშავებდენ.

გამგეობამ გამოიტანა დადგენილება.

თემსაბჭომ დაადასტურა ეს დადგენილება და გაშალეს ასწლობით ნანარგული წაბლის როკვები, გაჩეხეს საზღვრებზე ეკლის ხეები და უნგიაძის ეზო გეგიძისას შეუერთეს.

—ეზოსაც აღარ მანებებთ?!—აკნავლდა გეგიძე, მაგრამ აშკარა წინააღმდეგობა ველარ გაბედა და ენა დაიმოკლა.

— რატომ. ორი გექტარი სახნავი და ეზოს ფარგლებში მდებარე ნაშენი რომ გრჩება. ულლად ხარები, ერთი ცხენი მეწველი ძროხა, ლორები—კიდევ საყვედურობ?! შეუტიეს გეგიძეს კომკავშირლებმა.

—მრჩება. „თუ მრჩება თქვენი წყალობა მაქვს თუ?!—აილეწა უცებ გეგიძე, მაგრამ ისევ ჩაცხრა და ენას კბილები დაადგა“ არა, ამ ლაწირაკმა ამოაგდო ჩემი ოჯახი, ამ გამოყრუებულმა უნგიაძის ქვრივმა დედაკაცმა არ მომეშვა თორემ..

ჯერ ეზოსთან ახლო მდებარე მიწებს მაინც არ შეეხებოდენ.

გეგიძეს ყურში ჩაცდა ტიტიკოს განცხადებაც და ეხლა კიდევ უფრო დარწმუნდა გეგიძე თავის მოსაზრებაში: რომ ტიტიკოს მისი ეზო არ შეეტანა კოლექტივის ფარდობში გეგიძის ეზოც ხელუხლებელი დარჩებოდა; ორი წლით მაინც დარჩებოდა. ორი წლის შემდეგ კი... ენახავდით ეს ქვეყანა ან ქე დეინგრეოდა... მაგრამ ერთი მეც ვჩერჩეტობ რაღაცას... არა ერთი სიტყვით ამ ორ წლიწადს ხელს არავინ მახლებდა და შემდეგ იქნება თვითონ მაგათ პარტიას შეეცვალა საერთოდ წესები—გეგიძემ მწარედ ამოიოხვრა, ეზოში გამოვიდა, დასათესად გამზადებულ ჩამორთმეულ მიწებს გადახედა და გული ნაღვერდლაივით გაუხურდა.

„არა მეც სულელი, თორემ უნგიაძის მიწას რომ უტრიალებდი რა შავპირად მინდოდა. მიწების შემომატებაზე ვფიქრობდი, საზღვრებს ვაფართოებდი... თურმე... თურმე ორი სამი წელი და შენსას ჩამოგართმევენ, საკუთარ მიწებზე ხელს დაგირეცხენ სამოსახლოდან აგყრიან და სხვაგან გადაგაბარგებენ. თუ ეს ამ ვაჟბატონების კოლექტივმა მოისურვა—გეგიძეს თვალწინ წამოუდგა ამ რამდენიმე წლის წინად გამდიდრებისათვის შედგენილი გეგმები... მოაგონდა თუ როგორ შეიძინა მან ათიოდე გექტარი საუკეთესო მიწები, თითქმის სრულიად უსასყიდლოდ, ან კიდევ საზამთროს ფასად, გასესხებული ფულების ნამთავნსა და საჩუქებელში...

—ჰე დრო მაშინ იყო. როცა ას მანეთს გაასესხებდი და წლის ბოლოს პირისპირს გახდიდი. და როცა მოვალე ერთ წელიწადს კიდევ დაგიგვიანებდა ფულს, ასეთი მოვალეები ძალიან ხშირი იყო, განსაკუთრებით აზნაურებს შორის. მაშინ ორი სამი ექტარი მიწით თუ დაიკმაყოფილებდი თავს, სადაც კი ამოირჩევდი რომელი ნაჭერიც გინდოდა, მოვალეც მოხარული იყო და გამსესხებელი ხომ მით უმეტეს: რაღაც გროშებით მეპამულე ხდებოდი რამდენიმე წლის განმავლობაში. არაფრის—მქონე მდიდრდებოდა. გაქრა ეს დრო შეუმჩნევლად გაირბინა საბჭოთა წლებმაც და დღეს, აი რას მოვესწარი, რის მოწმე გავხდი?! ...აღარც ფული აღარც ოჯახი, აღარც კერძო საკუთრება... ქონება სასირცხო საქმე გაგახდა, გამდიდრება საშიშროება. რა ვარ ახლა მე? რა მიზანი აქვს ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებას?

შევიდე კოლექტივში?!. მაგრამ რა სისულელეა, ჯერ ერთი არ მიმიღებენ და დაუშვათ რომ მიმიღონ კიდეც, რა უნდა გავხდე მე კოლექტივში? დავდგე ახლა მოჯამაგირეებსა და ღარიბ-ღატაკების გვერდით და საერთო საზრდო საქმე გავაკეთო?

—გეგიძე შეიშმუშნა, მწარედ ამოიოხვრა და „სულელო გაბრიელა, ჩერჩეტო გაბრიელა!.. კოლექტივში აპირებ გამდიდრებას კოლექტივიდან ფიქრობ ცოლშვილის დარჩენას, ი. ე, როგორც აქამდის არჩენდი? შენ გიჟი ხარ, გიჟი გაბრიელ გეგიძე!.. გამოშტერებული... ბრიყვი ხარ ბრიყვი!.. რატომ? რისთვის? მაშ, შენ ვინ მიგიღებს კოლექტივში წევრად?!. კულაკი... წურბელა. მევახშე... აი შენი ატესტატი შენი პირადობის მოწმობა... ვინ გაგახარებს აწი შენ?!.“

ნისლი ჩამოწვა დატრაქტორებულ ჰალებში და გეგიძე ორ ლობეს აედევნა მწარე ფიქრებით თავდამძიმებული.

**ივნისი 1931 წ.**



მარტყოფის კოოპსამკითხველოში უსმენენ რადიოს.

# სიმღერა სოციალისტურ მშენებლობის სართულებზე

პროლეტარული მწერლებმა უნდა შესძლონ ვიწრო თემატიური ზღუდის გარღვევა და სოციალურ ღირებულების თემაზე მუშაობა. მწერალმა რომ თემატიური მასალა დაიმორჩილოს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღნიშნულ თემის საფუძვლიანი ცოდნა. მხატვრული ნაწარმოები, რომლის თემატიურ მასალასაც ავტორი სათანადოთ არ იცნობს, უდაოდ სქემატიური და ზერელეა. ამხ. პ. ჩხიკვაძის რომანის ,,სართულები-"ს მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ მან შესძლო ასეთი ,,მარცხის" თავიდან აცილება და რომანის ყოველი უბრალო დეტალი ფაქტის სათანადო ცოდნაზეა აგებული.

პროლეტარულ მწერალმა უნდა შესძლოს ყოველი ჩვენი ახალი გამარჯვების წარმოდგენა, როგორც კლასიური ბრძოლის შედეგი. ამხ. ჩხიკვაძემ უდავოდ შესძლო ეს. ჩხიკვაძისათვის არ არის სადაო ის ფაქტი, რომ ქარხანაში ზის კლასიური მტრების აგენტები, რომლებიც ცდილობენ ყოველმხრივ შეგვიშალონ ხელი. რომანი ,,სართულები-"ს შინაარსი სწორედ ამ ფონზეა გაშლილი. ერთი მხრივ სოციალისტური მშენებლობა, მეორე მხრივ კი კლასობრივ მტრების აგენტების ფუს-ფუსი ხელის შესაშლელად.

მთავარი, რასაც რომანში ხაზი უნდა გაესვას, ეს არის კლასიური ბრძოლის მომენტების საღად გადმოცემა. ჩხიკვაძემ აღნიშნულ რომანში შესძლო ბოლშევიკური ნებისყოფის გამოჩენა.

რომანში მთელი რიგი აქტუალური საკითხებია დასმული, კერძოთ რომანის გმირების — გრიგოლ გიგაურის და მისი ძმის ლევან გიგაურის ურთიერთობა.

ამხ. ჩხიკვაძემ აღნიშნულ რომანში დასვა ოჯახის პრობლემა. საერთოდ ყოფაცხოვრების საკითხი დღეს პროლეტარულ მწერლობის წინაშე მეტად რთულ ამოცანად დგას. ამ ამოცანის გადაჭრას შეეცადა ამხ. ჩხიკვაძე და უნდა ითქვას, რომ ბევრი დადებითი მომენტები მოგვცა.

ამხ. ჩხიკვაძეს, ზოგიერთი გმირი' მოცემული აქვს სქემატიურად. ჩვენ ვიბრძვით ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნაწარმოებიდან განვდევნოთ ფსიქოლოგია.

ამხ. ჩხიკვაძის რომანი მეტად ჯანსაღ ფორმებში იძლევა სურათებს ჩვენი საწარმოო ფრონტიდან. რომანის თემატიური მასალა სრულიად ახალია პროლეტარულ მწერლობაში. რომანი დასაწყისია. ჩვენი აზრით ის არაა დასრულებული, არაა დასრულებული იმიტომ, რომ კლასობრივი მტერი კიდევ დარჩა, რამიზ ბაკურიძეს დავალების შესასრულებლად, ისევ ზის ქარხნის რომელიღაც კუნჭულში მავნებლურ მუშაობის საწარმოებლად. ჩხკვაძემ შესძლო კლასობრივ ბრძოლის ფორმების შემჩნევა და მოცემა მხატვრულ ტილოებზე. ჩხიკვაძეს ეხერხება რომანში ინტრიგების სწორი განვითარება, რაც ინტერესს იწვევს მკითხველში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანი ,,სართულები' 'ძნიშვნელოვანი მოვლენაა პროლეტარულ მწერლობაში,. ჩხიკვაძემ სრულიად სამართლიანად, ჯანსაღ პროლეტარულ პროზაიკის სახელი დაიმკვიდრა. მან თავისი მუშაობა ,,სართულები-",თ არ უნდა დაამთავროს. მას მომავალში უფრო მეტი აქვს გასაკეთებელი, რომანში აქა-იქ გვხვდება მხატვრულად სუსტი ადგილები, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის მაინც კარგ რომანად რჩება.

იზრდება სოციალისტურ შენობის სართულები.

ჩხიკვაძის რომანი ამ სართულების ერთ-ერთი ეპიზოდია.

პ. მ.



დონბასი — მოწაფე—სტუდენტები გერმანულ სისტემის პნევმატიურ ჩაქუჩით!

# მუსულმან ქალს.

შენ გაიღვიძე მძიმე ძილიდან
გადიძრე ჩადრი, გადიძრე რიდე
და ამ მონობის უტეხ სიმბოლოს
ელვარე ცეცხლი გადაუკიდე.
სულში წამება არ ეტეოდა,
და ბნელ ჩადრის ქვეშ დაღლილ თვალთაგან
მდუღარე ცრემლი გადმოგდიოდა.
მიჯაჭულ იყავ აკვანს და კერას
სახეს გჯარავდა ჩადრის ნახევი,
დღეს სახეს გიმკობს ღიმი ალური
მძლე ოქტომბერის ნაკარნახევი.
დღეს სულს გვინათებს ახალი რწმენა—
მტკიცე, ურყევი, ნათელი, სუფთა,
ჰეი! მსოფლიოვ, გაიგეთ ყველამ
რომ მონა ქალი განთავისუფლდა.
ჰეი დობილო! მომეცი ხელი!
ხელი ნაკვეთი მტკიცე ნებიდან,
ბევრი წამება ახსოვს ბნელ თვალებს
ძველ და შორეულ მოგონებიდან.
მუსულმან ქალი მძლე ამხანაგი!
დღეს აღარ ჰგევხარ ნათანაშ საგანს
ჩადრი წაგართვა დიდმა გრიგალმა
გამოქროლილმა ოქტომბრისაგან.
დღეს აღარ ისმის მკაცრი ბრძანება
და მრისხანე ხმა ძველი ხანისა,
დღეს ყუმბარებით გაკაფულ გზაზე
სდგას ლაღი ქალი მუსულმანისა.

ვალია კუპრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დირიჟაბლით ჩრდილოეთ პოლიუსზე

20 ივლისს ფრიდრიხსჰაფენიდან (გერმანია) ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაფრინდება ცეპელინი **ლც-127.** საჰაერო გემის ამ მოგზაურობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მეცნიერები. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან: არქტიკული ინსტიტუტის დირექტორი პროფ. **სამოილოვიჩი,** რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ექსპედიციის მთელ სამეცნიერო მუშაობას, სლუცკის აეროლოგიური ობსერვატორიის დირექტორი პროფ. **მოლჩანოვი,** საჰაერო ფრენის სპეციალისტი ფ. **ასბერგი** და რადიოტეხნიკოსი **ე. კრენკელნი.** საბჭოთა მეცნიერების გარდა გადაფრენაში მონაწილეობას იღებენ: პროფ. **ვეიკმანი**—გერმანელი მეტეოროლოგი, დოქტორი **ფინსტერვალდე,** რომელიც მონაწილეობას იღებდა გერმანია-საბჭოთა ექსპედიციაში პამირზე, ინჟ. **აშენბრენერი** და პროფ. **ვალტერ ბრუნსი.** გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერების გარდა გადაფრენაში მონაწილეობას მიიღებენ ლეიტენანტი **სმიტი** (ამერიკა) და პროფ. **ხაკლუნდი** (შვეცია). ექსპედიციას მეთაურობს „გრაფ ცეპელინის“ კაპიტანი დ-რი **ეკენერი.**

ექსპედიცია მიზნათ ისახავს გამოიკვლიოს უცნობი ადგილები საბჭოთა კავშირის არქტიკულ სექტორში. მთავარი ყურადღება ექნება მიქცეული ჩრდილოეთ მიწის, ტაიმირის ნახევარ კუნძულის, და აგრეთვე ფრანც-იოსების მიწის სურათების გადაღებას ცეპელინიდან. მიღებული აერო-ფოტო სურათები განზრახულია ჩამოგდებული იქნეს ცეპელინიდან ამ კუნძულებზე ზამთრის გასატარებლად დარჩენილთა ბინებთან, რათა მათ საშუალება მიეცეთ თავის შემდგომ მუშაობაში დაეყრდნონ ექსპედიციის მიერ შეკრებილ ცნობებს.

გზაში პროფ. მოლჩანოვი მოახდენს აეროლოგიურ დაკვირვებებს. აქ ფრენის დროს პირველად იქნება გამოყენებული **„რადიოზონდები“,** ე. ი. აპარატები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ავტომატიურად იქნეს ჩაწერილი ჰაერის ტემპერატურა, ღაწოლა და სინოტივე ატმოსფერის მაღალ ფენებში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცეპელინის გაფრენისათვის. რადიოზონდები გამოგონებულია და დამზადებული სლუცკის (საბჭოთა კავშირი) აეროლოგიურ ობსერვატორიის სახელოსნოებში.

ფრენის დროს მოხდება ცეპელინის შეხვედრა ამერიკელ მკვლევარის **ვილკინსის** წყალქვეშა ნავთან, რომელიც ამერიკიდან ლონდონზე გავლით წავა შპიცბერგენზე, რომ აქედან წყლის ქვეშ გადასჭრას ჩრდილოეთ პოლიუსი და გაემართოს ალიასკაზე. ამ ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებით ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში.




მოგზაურობის მაჩვენებელი რუკა

ცეპელინი ლც-127 ფრიდრიხს ჰაფენიდან გაფრინდება ბერლინში, საიდანაც წაიღებს წყალბადს; ბერლინიდან ცეპელინი მოფრინდება ლენინგრადში, სადაც დაეშვება თავდაცვა-აეროქიმის აეროდრომზე. ცეპელინისთვის აქ ეწყობა სპეციალური მისაბმელი მაჩტა და განსაკუთრებული აპარატი წყალბადის დამატებითი მარაგის წასაღებად. ცეპელინის მისაღებად და გასასტუმრებლად გამოყოფილია ლენინგრადის სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტის სტუდენტთა გუნდი.

### „მე დარწმუნებული ვარ ამუნდსენი ცოცხალია“

15 ივლისს არხანგელსკიდან არქტიკაში მიდის საბჭოთა ყინულის მჭრელი „მალიგინი“, რომელსაც ჩრდილოეთ პოლიუსის რაიონში მიჰყავს უცხოელი ტურისტები.

უცხოელი ტურისტები, რომლებმაც გამოსთქვეს სურვილი ზაფხული გაატარონ არქტიკის ყინულიან მთებში, ფრანც-იოსების მიწის არხიპელაგზე ესტუმრებიან გუბკერის კუნძულს, სადაც დაათვალიერებენ მსოფლიოში ყველაზე უფრო ჩრდილოეთ რადიო მეტეროლოგიურ სადგურს, რომელიც აგებული იქნა 1929 წელს. ამ სადგურზე პოლიალური ზამთრის გასატარებლად დარჩენილი არიან საბჭოთა მეცნიერები.

გუბკერის კუნძულის რაიონში მოხდება „მალიგინის“ შეხვედრა „გრაფ ცეპლინ“-თან, რომლიდანაც ჩამოგდებული იქნება ფოსტა ექსპედიციის წევრთათვის „მალიგინ“-ზე.

უცხოელი ტურისტები დაათვალიერებენ ფლორას კონცხს, ნორდ-ბრუკის და ალჯარის კუნძულებს.

„მალიგინი“ მივა კრონპრინც რუდოლფის არხიპელაგის ყველაზე უფრო ჩრდილოეთ წერტილამდე, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ განივის 82 გრად. გზადაგზა ყინულის მჭრელი შეჩერდება ჯეკსონის კუნძულზე, „ნორვეგიას“ კონცხთან, სადაც 1895 წლის ზამთარი გაატარეს პატარა ქოხში **ფრიტიოფ ნანსენმა** და მისმა თანამგზავრმა შტურმანმა **იოგანსენმა.**

როდესაც არქტიკის ამერიკელმა მკვლევარმა **ანტონ ფიალამ** გაიგო ყინულის მჭრელი „მალიგინის“ მოსალოდნელი დიდი ლაშქრობის შესახებ (ა. ფიალა ორჯერ იღებდა მონაწილეობას ციგლერის ექსპედიციაში გემ ამერიკა“-ზე), მან „ინტურისტი“-ს ამერიკის წარმომადგენლობას მიმართა შემდეგი წერილით: „როდესაც **როალდ ამუნდსენი** ემზადებოდა გასაფრენად დირიჟაბლ „იტალია“-ს მოსაძებნად და დასახმარებლად, მე უამბე ჩემს მეგობარს ამუნდსენს, რომ მე თავის დროზე რუდოლფის კუნძულზე დავმალე დიდძალი სურსათი და მიუთითე მას იმ ადგილზე, სადაც შენახულია ეს სურსათი. **ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამუნდსენმა მიაღწია რუდოლფის კუნძულს და სცხოვრობს ეხლა იქ“**

ანტონ ფიალა სთხოვს ექსპედიციას მოახდინოს ამუნდსენის დაწვრილებითი ძებნა რუდოლფის კუნძულზე.

პროფ. **ვ. ვიზემ,** არქტიკის ერთ-ერთმა საუკეთესო მცოდნემ, რომელიც მეთაურობს ექსპედიციას„ მალიგინ“-ზე. ამის გამო სთქვა: „შესაძლებლად მიმაჩნია „მალინგინ“-ის ლაშქრობის დაკავშირება ამუნდსენის მოძებნასთან ფრანც იოსების მიწაზე, და აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგულ ალექსანდრონის ჯგუფის მოძებნასთან. დირიჟაბლ „იტალია“-ს კვალის პოვნა შესაძლებლად მიმაჩნია.“

**შ—ა.**



ბათომი — „ჩერნომორეცის“ შეკეთება.





ჩელიაბინსკი — არხების სათხრელი მანქანა „ოსტინი“.

დონბასი. — სურათზე ლითონის მილ-ანა სადნობ ცეხებში.



ბობრიკოვის „მოსხიმენერგოსტროი“, რომელიც ამუშავდება 1931 წელს.



კასპის ელექტრო სადგურზე იზოლატო-რების მონტაჟი.

F687



თბილისის დეპოდან ორთქლმავლის გამოშვება.



თბილისის დეპოში.



ტრაქტორების გადმოტვირთვა თბილისის სადგურზე.



წითელარმიელები სამკითხველოში.



ზუგდიდი — საბჭოთა მეურნეობა „სამეგრელო".
თამბაქოს მუშები კვლებში ახლად დათესილ ჩითილს ახარისხებენ.



ჩელიაბინსკის ქარხნის მშენებლობაზე.

# თეატრალური ოქტომბრის მეაზარახტრე

ძირს ბუტაფორული ჩვრები და ნაგავი!
გარდაჰქმენ ცხოვრება, კომუნისტო რეჟისორო!

ვ. მაიაკოვსკი



ვ. მეიერხოლდი
(მისი სახ. თეატრის ათი წლის მუშაობის გამო)

ათი წლისთავი შეუსრულდა მეიერხოლდის სახელობის თეატრს.

გაათრებული ბრძოლის ათი წლისთავი სათეატრო ფრონტზე.

ფსიქოლოგიური ჩხირკედელაობის, ინდივიდუალისტური თვითქექვის, ყოფაცხოვრების ნატურალიზმის წინააღმდეგ განუწყვეტელი ომის ათი წლისთავი.

ფარისეველური ლოზუნგის — „წმინდა, ხელოვნება ხელოვნებისთვის" დაუზოგავი მხილების ათი წლისთავი.

გამარტივების, ვულგარიზატორობისა და შეგუების წინააღმდეგ ბრძოლის ათი წლისთავი.

მეშჩანობის, ბიუროკრატიზმის მკვეთრი, მამხილებელი განადგურების ათი წლისთავი, ყოველივე იმ სისაზიზღრის, სისაძაგლის განადგურების ათი წლისთავი, რაც მიეტმანსა, მიეკვრა ბუმბერაზულ სოციალისტურ მშენებლობას.

მშრომელთ მაყურებლის გამამხნევებელი, აღმგზნები, მისი ნებისყოფისა და გრძნობის დამრაზმავი მხატვრულ-თეატრალურ პროპაგანდის ათი წლისთავი.

შეცდომები და დეფექტები, მექანიკური ნახტომები, რასაკვირველია, აუცილებელი იყო იმ თეატრისათვის, რომელმაც ომი გამოუცხადა ათი წლობით გამტკიცებულ კანონებს, რომელმაც გაილაშქრა მთელი ძველი სცენის წინააღმდეგ, იმ რევოლიუციონური მეამბოხისთვის, რომელმაც პირველმა აღმართა თეატრალური ოქტომბრის, დროშა მაგრამ რას წარმოადგენენ ეს შეცდომები იმ ისტორიულად დადებით როლთან შედარებით, რომელიც მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრმა შეასრულა საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივმხატრულ ცხოვრებაში?!

თეატრი განუყოფელად დაკავშირებულია თავისი ხელმძღვანელის სახელთა მეიერხოლდის — ამ მსოფლიო მხატვრის, დაუცხრომელი ვსევოლოდის სახელთან, რომელმაც მთელი სიცოცხლე სასცენო ბრძოლებში გაატარა. სამხატვრო თეატრის მიერ აღზრდილი, ამ თეატრიდან გამოსული, იგი პირველი ამხედრდა მის წინააღმდეგ, პირველი გახდა მისი უარმყოფელი. სწორედ მეიერხოლდი იყო, რომელმაც აჯანყება მოახდინა ნატურალიზმის წინააღმდეგ. მან დაარსა პირობითი თეატრი, თავისი ერთგვარი დაკნინებით, რაც დამახასიათებელი იყო ბურჟუაზიის პერიოდისთვის, წარმოადგენდა წინასწარ პირობას რევოლიუციონური თეატრის წარმოშობისათვის.

სწორედ მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან გაისმა პირველად საბჭოთა კავშირში ის სიტყვა, რომელიც აგიტაციის ეწეოდა პროლეტარული რევოლიუციისათვის.

სწორედ გარიჟრაჟის მეოხებით შემოიჭრა პირველად სცენაზე რევოლიუციის ახალი, გამაცოცხლებელი ქარი. საბჭოთა კავშირში პირველად ამ წარმოდგენაზე მოელო ბოლო მაყურებლისა და სცენის ურთიერთისაგან მოწყვეტას, დაშორებას. დაემხო რამპა. მაყურებელი გადაიქცა წარმოდგენის მომქმედ ელემენტად.

ვისაც უნახავს და მოუსმენია, ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება იმ მსახიობტრიბუნის მკვეთრი სიტყვის წარუხოცელ შთაბეჭდილებისაგან, რომელიც იუწყება პერეკოპის გმირული იერიშის შესახებ.

სწორედ მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გადაგვიშალა მაიაკოვსკის „მისტერია-ბუფ"-მა ცისარტყელის მომხიბლავ ფერებად საბჭოთა კავშირის პროლეტარული რევოლიუციის მიერ განთავისუფლებულ ხალხთა ცხოველმყოფელობა და სიხარული.

„ზორი" და „მისტერია"— ეს იყო საბჭოთა რევოლიუციონური თეატრის პირველი გამოქვეყნებული პოლიტიკური პროგრამა.

და როდესაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებასთან ერთად, იწყება გაღრმავებული მუშაობა რევოლიუციონური თეატრის პრინციპების დასადგენად, მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრი სდგამს ჰამლეტს მამაკაცის ოჯახის მეთაურის საკუთრების სიყვარულით განმსჭვალულ ინსტინქტებზე („გულკეთილი რქოსანი") და მახვილი სატირას ეფის მოხელეებზე („ტარელკინის სიკვდილი").

სწორედ მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეაატრში იწყეს პირველად კლასიური ლიტერატურის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად გამოყენება. იქ არ მოერიდნენ ავტორის „წმინდა" ხელუხლებლობის შეხებას იქ უარი სთქვეს, ავტორის უცვლელად, „პატიოსნად" ჩვენებაზე. ნაცვლადამისა, შეუდგნენ სცენაზე გადმოტანილი ეპოქის, მოვლენების აზრისა და მნიშვნელობის გადმოცემას.

სწორედ იქ, მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრში, რეჟისორმა და მსახიობმა სრულის გარკვეულობით და სიცხადით გვიჩვენეს თავიანთი დამოკიდებულება ნაწარმოებისა და როლისადმი. სწორედ ამ თეატრის სცენაზე ჩაეცა გამანადგურებელი მახვილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპს— „როდესაც არამზადას თამაშობ, იფიქრე—სად არის იგი კარგი".

ოსტროვსკის „ტყე", რომელიც დღემდე იდგმება მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ჩვენის გაგებით აისახა. აღარ არის კეთილრიგიანი მემამულე გურმიჟსკაია. არის ფეოდალური ქალბატონის საზიზღარი სახე. არ არის სანდომიანი ახალგაზრდა აზნაური ბულანოვი, არის გადაგვარებული კლასის ტიპი. არ არის ვაჭარი ვოსმიბრატოვი. არის რუსეთის ახლად ჩასახული კაპიტალიზმის ჩლუნგი დინგი.

უდიდეს სიმაღლეს მიაღწია თეატრის ფორმალურმა ოსტატობამ, რომელიც თან სდევს პიესის ახალ გაგებას, ახალი სახით განმარტებას. მომაბეზრებელი გრძელი ლაპარაკი ამჟამად აგებულია მუსიკაზე. ვის შეუძლია დაივიწყოს, როგორ ჩამოეცალა ლირიულ სცენას — შეყვარებულთა შეხვედრის — გულის ამრევი სანტიმენტალობის ოდნავი ნასახობაც კი. ეს ფორმალური ხერხი მთელი რევოლიუციაა თეატრში. როგორ აღაშფოთა "მკვრეხელობამ" კაცუნები აკადემიური თეატრიდან და როგორი აღტაცებით მიეგება მას მშრომელი აუდიტორია.

ერთის მხრით — დაღუპვის გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული მსოფლიო, მეორეს მხრით — ძალღონის შესაკრებად ამოძრავებული სოციალისტური მსოფლიო მკვეთრი, თვალის მომჭრელი ფერადებით არის მოცემული „იძლევიევრ ოპას"-ში. ძველი მსოფლიოს დაჩაჩანაკებული, ხოლო ახალის მხნე და სიცოცხლით მჩქეფარე კულტურა აქ უაღრესი ძალით არის წარმოდგენილი.

მეტად ძალუმად გაისმის სარკაზმი „მანდატ-"ში. „მექანიკური მოქალაქეების" მთელმა საზიზღარმა შემგუებლობამ, მათმა მთელმა უნიადაგობამ და უმწეობამ უდიდეს სიმაღლეს მიაღწია თეატრის მუშაობაში.

აიღეთ ეხლა ეპოქის ის სოციალური აზრი, რომელიც თეატრმა „რევიზორ"-ში გადაგვიშალა. აქ თქვენ ხედავთ უკვე არა კომედიას, არა ვოდევილს, გესმით არა მარტო შოლტის მწარე ზუზუნი, იმ შოლტის, რომელიც წარსულში შთანთქმულ ეპოქას ხვდება,--თქვენ გრძნობთ, როგორ დაუნდობლად ამათრახებს ეს შოლტი მლიქვნელობას, უფროსის წინაშე მუცლით ხოხვას, ფიანდაზად გაგებას და მრავა ლსხვა „კეთილსათნოებას", რა საც ამ ჟამადაც აქვს გასავალი.

ადგილი ნებას არ გვაძლევს, შევჩერდეთ მთელ რიგ არაჩვეულებრივ ფორმალურ მიღწევებზე, რომელთაც ეს წარმოდგენა უდიდეს მოვლენად გადააქციეს სათეატრო ასპარეზზე.

იმავე მეთოდმა, უფრო გაღრმავებულმა, საშუალება მისცა თეატრს მანამდე. არ ნახული სახით ეჩვენებია „ვაი ჭკუისაგან." აქაც პირველი და მთავარი ადგილი დაეთმო კომედიის საზოგადოებრივ აზრს. აქაც ბატონყმობის სისაზიზღრე გადმოშლილია მთელი თავისი შემზარაობით. აქაც ხეპრეობა, თვალთმაქცობა სამარცხვინო ბოძზეა გაკრული. აქაც მახვილი შემდეგ აზრს უზის: „მოგვაშორეთ ახალი მშენებლობის გზიდან საუკუნეთა ნაგავი."

ძველს მოჰყვა ახალი დრამატურგია, საბჭოთა დრამატურგია. თეატრი და მისი ხელმძღვანელი, რომელნიც ებრძოდნენ და ებრძვიან შტამბს სიმარტივეს ვულგარიზატორობას, რომელთაც იციან „საგანთა სიღრმეში" ჩახედვა, ყოველთვის გაურბოდნენ მსუბუქ ლიტერატურულ მასალას. თეატრს მუდამ იზიდავდა მხოლოდ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, გამრავლებული მკვეთრ ლიტერატ. სახებაზე. ეს გასაგებიც არის. მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრი ექსპერიმენტალური რევოლიუციენური თეატრია. ექსპერიმენტების დროს კი შეცდომა ყოველთვის შეიძლება. ამ შეცდომებზე სწავლობენ. ეს ძნელი გზაა. ყოველთვის არ მოსდევს მას დაფნის გვირგვინით. მაგრამ ეს ის გზაა, რომელიც თეატრს საფუძველს უყრის.

მაიაკოვსკის „ბაღლინჯო" და „აბანო"—ძალზე გამახვილებული ისრებია, მკვეთრი პამფლეტები, რომლებშიაც ავტორი და თეატრი შხამს არ იშურებენ მეშჩანური კულტურის შემზარავ ნაშთებისათვის, ნაყარ ადამიანთათვის, რომელნიც ფეხებში ედებიან ისტორიისათვის უცნობი ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელთ. თეატრი უწყალოდ აცლის ნიღაბს შემგუებლებს, იმათ, ვისაც შუბლზე „ასპროცენტიანი საბჭოთა ადამიანის" ნიშანი მიუკრავს. ამ პიესებში, თეატრის გასცენიურებაში გაიძვერა და არამზადა შუბის წვერზეა წამოცმული. თეატრი ჩაგვძახის: „ფხიზლად იყავით— მეშჩანი ჯერ კიდევ ჩვენ შორის არის"-ო.

მიუხედავად ერთგვარი სქემატიურობისა, რასაც ბეზიმენსკის „გასროლა"-შიც ვხვდებით, ამ პიესის და წარმოდგენის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და მხატვრული მნიშვნელობა უდიდესია. კლასობრივმა სიძულვილმა მტრისადმი, ზიზღმა „ბიუროკრატიული მანქანის მოტორებისადმი", რისხვამ „ცირკულიარით გაცლენთილ სულებისადმი", სოციალიზმის მშენებელთა სიხარულმა, აგრეთვე იმან, რომ პიესა მოკლებულია ფსიქოლოგიზმს და ნატურალიზმს, საშუალება მისცა თეატრს სავსებით გამოეყენებია თავისი ხერხები, რათა მოესპო ყოველივე უარყოფითი და გამოეწვია სიმხნევე და სიხარული ყოველივე ახალისადმი, იმისადმი, რაც შენდება.

სელვინსკის „კომენდარმ 2", როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, დიდი დიაპაზონის მოვლენაა. ბელადისა და მასის პრობლემა, გადაჭარბებულმა ლიტერატურულობამ და ფილოსოფიურობამ, ავტორის ზოგიერთმა იდეოლოგიურმა შეცდომამ ხელი შეუშალა თეატრს მოეცა მკვეთრად გამახვილებული წარმოდგენა. აქ არის მხოლოდ ცოცხლად გამოქანდაკებული ცალკე ადგილები, რომლებშიაც გრძნობთ ჩვენი ეპოქის მაჯის ცემას.

მე შემთხვევა არ მომეცა მენახა „უკანასკნელი გადამწყვეტი-". იქნება მართლაც მიუძღვის თეატრს ის ცოდვები, რომლებსაც მას ამ მუშაობაში აწერენ. ამ თეატრის ბრწყინვალე ოსტატს მეიერხოლდს წარსულის უდიდესი ტვირთი აწევს, (თუმცა იგი საკმაოდ გამოიწრთო რევოლიუციის ქურაში) და დეფექტები აუცილებელია. მაგრამ თეატრისა და რეჟისორის დამსახურება უდიდესია, არაჩვეულებრივია.

იმას, რასაც ათი წლის წინად კბილთა ღრჭენით ხვდებოდნენ, დღეს არა თუ ჩვენში, საზღვარგარეთაც მიმბაძველები ჰყავს— ეს ბევრს ნიშნავს. იშვიათად, თუ ჩვენს თეატრებში სადმე სცენას კიდევ შერჩა პავილიონი. სცენაზე გაბატონდა სხვადასხვა სახის, სხვა დასხვა ვარიანტის კონსტრუქტიული მოედანი. ყოველი პიესის აღნაგობაში უკვე შედის მუსიკა — არა როგორც საილიუსტრაციო მომენტი, არამედ, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. პიესების დანაწილება ეპიზოდებად, კომიკური და დრამატიული სცენების შენაცვლება უკვე გადაიქცა უფრო სიჭიერი საბჭოთა დრამატურგების სისტემად. ბიომექანიკური სისტემა „შინაგანი ცეცხლი"-სა და „განცდების" სისტემის დაპირისპირებაა. მსახიობის მოძრაობამ, ყველაფერმა ის, რასაც იგი მწყობრად, გარკვეულად და რიტმიულად აკეთებს—ამ სისტემამ გაიმარჯვა, იგი აღარ იწვევს დავას. მხოლოდეს სისტემა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას სცენიდან ურთულესი გრძნობისა და აზრების გადმოსაცემად.

უდაოა თეატრის გავლენა მუშათა თვით მომქმედ წრეებზე, კლუბებზე, მუშა ახალგაზრდობის თეატრებზე. თეატრს მჭიდრო კავშირი აქვს მუშათა კლასთან, წითელ არმიელთა მასასთან.

მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრი იმ რევოლიუციის განუყოფელი ნაწილია, რომელიმაც იგი წარმოშვა, მისი სისხლი და ხორცია.

ამ რევოლიუციის მკერდზე დაყრდნობილი იგი ძალუმად სუნთქავს.

მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრი იყო და არის დაჟცხრომელი მებრძოლი ყოველგვარ რუტინასთან, უგვანობასთან შტამპთან სცენაზე

მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრი მთლად მიზნისკენ მისწრაფებაა.

იგი ყოველთვის ჰკაფავდა ახალ ბილიკებსა და გზებს.

იგი სცენის მასწავლებელია.

მეირეხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრის ყოველი წარმოდგენა აფორიაქებს აზრს, აღელვებს ტვინს, აფიქრებს გონებას. განზე აქ ვერ დადგები. გულგრილად ვერ უყურებ.

ტყუილად როდი ხდება ამ თეატრის ირგვლივ მუდამ გაშმაგებული დავა.

დამარცხება ამ თეატრში სხვა თეატრების რამდენსამე „გამარჯვებას" უდრის,—სხვა თეატრების, სადაც ცდილობენ ძველი ღვინო ახალ ტიკებში ჩაასხან, სადაც „ჭეშმარიტ რეალიზმს" ამოფარებულნი, ნატურალისტურ აბდა უბდას ჩმახავენ, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან „სევდიანი ჩეხოვის" მიბაძვით დაწერილი პიესებით.

და სავსებით მართალი იყო რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი. რომელმაც თეატრის იუბილეის გამო საჭიროდ სცნო: „მოეწყო მეიერხოლდის სახელობის სახელმწიფო თეატრის იუბილეს დღესასწაული, მიეცეს ამ მოვლენას მასიური საზოგადოებრივ პოლიტიკური კამპანიის ხასიათი, ფართოდ იქნან ჩაბმული ამ დღესასწაულში მუშათა და კავშირის ორგანიზაციები, წითელი არმია".

თეატრალური ოქტომბრის მებაირახტრეს ვუგზავნით ჩვენს გულითადს ბოლშევიკურს სალამს.

ხ. ტოკარი



ხარკოვის „ტრაქტორსტროი"-ს მშენებლობაზე.



„მარტოსტროის" დამკვრელები სამუშაოზე.



ბათუმი — პორტზე მუშაობა.



რკინის გზის ახალი კლუბი ლენინაკანში.



თბილისის სასაკლაოს დასუფთავება.

# მძაფრი დღეები

არჩილ ჩაჩიბაია

მთელი წლეები თრთოდა რუსეთი ზარბაზნების გრიალით.

ფრონტზე ფეხს ისე ვერ გადაადგამდი, რომ მიწა სისხლიანი არ შეგხვედროდა; არტილერია, საბარგულეები ისე ვერ გაივლიდნენ, მებრძოლთა ძვლები არ გადაემტვრია.

ძალგატეხილ ქალაქებში, პროვინციებში, ზუზუნებდენ ტყვიები.

ჰყანტში, ჰანჭრობში, მთებზე. მინდვრებში, მიდიოდა ჯარისკაცების რუხი ნიაღვარი. საალიონო ნისლიან სიჩუმეში გადადიოდნენ მძინარე ვოლგას, ლენას, ალდანს და მათ ფეხ ქვეშ თრთოდა ყველაფერი.

ცარიელ პლათფორმებზე, სადგურების თეთრ სვეტებში იდგა შავად აღრენილი, მაქსიმის სისტემის მძიმე ტყვიამფრქვევები და ელოდენ მსხვერპლს.

გაიქრიალებდა ხან სამხედრო სანიტარული მატარებელი, რომელითაც დაჭრილები მიჰყავდათ ქალაქში, ხან საომრათ გამზადებული ჯარის ნაწილები; სულ რონოდის სიღრმეებიდან მოისმოდა ძახილი, ტაში...

დიდი გულისყურით ვიგონებ ქართველ ძმას, მრისხანე პარტიზანს ნესტორ კალანდარაშვილს, რომელმაც მიიღო წითელი დროშის ორდენი № 1217.

კლდეებს მოწყვეტილ არწივივით დაჰქროდა ნესტორი, •ნონთან, დაცენთან, შაგანიაზე, ბირკთან, ხადაბულაკთან, მოზგონთან, გონგოტასთან, ქვემო უდინის ფრონტზე, მანციევსკაიასთან, აჯანყებულ ჩეხო-სლოვაკებთან, დაურიესთან და სხვაგან...

იბრძოდა კოლჩაკის, ასეულ სემიონოვის, გენერალ სუკინის მონგოლო-იბურიატულ პოლკის, კაპელელების და სხვების წინააღმდეგ.

ყველა ფრონტებზე საკუთარ მკერდით გაჰქონდა გამარჯვებანი და ბნელ, ცივქარიან პოლიარულ ღამეებში გადადიოდა გორაკებზე ბრძოლა მოწყურებული.

ისევ და ისევ ჰქროდნენ ქარიშხლები და სისხლიან ეპიზოდებად იშლებოდნენ მძაფრი დღეები.

აი, ამბავი...

I

### იცვლება ფრონტი

რუხ ხის მაგიდას მიმჯდარიყო ლავინი.

მას თვალებზე შავი სათვალეები ჰქონდა გაკეთებული.

მაღალი კისერი მდელოსფერი თივთიკით შეხვეული და წითური სახე — მოშვებული წვერულვაში — მკაცრ შთაბეჭდილებას აძლევდა.

ლავინის მარცხნივ მინებ ჩალეწილ ფანჯარაზე დგას მძიმე ტყვიამფრქვევი და იქიდან მოსჩანს ჯარისკაცის სველი ზურგი, ხიშტი, უსაზღვრო სივრცე, ნაცრისფერი ცა და ბურუსი.

ოთახში ფრთხილად შემოვიდა ოფიცერი ლეო ტრიშკინი და თავი დეზების ქლარუნით დაუკრა.

ლეოს დანახვაზე ლავინი აყვირდა.

— ყველანი დასახვრეტი ხართ! ქალაქი ხელში ჩაუგდეთ მტერს და იმაზე კი არ ფიქრობთ, რომ დაკარგულს ხშირად ვერ დაიბრუნებენ! სალახანები ხართ, სალახანებო!

ლეო ტრიშკინმა მორჩილად თავი დახარა.

ირჩია გაჩუმება.

— ჯარმა მოახწია თუ არა?! ზარალი დიდია?! — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა ლავინმა.

— 46 პოლკი განადგურებულია!

— განადგურებულია... განადგურებულია... — აყვირდა ლავინი. ამაზე უკეთეს სიტყვებს თქვენ არასოდეს არ მეტყვით!.. განადგურებულია! — გულმოსული ბრაზნაყარი ლავინი ისევ იმეორებდა თავისთვის ამ სიტყვას — განადგურებულია!.. აბა, ერთხელ თუ გითქვამთ **გავანადგურეთ**!

— ყველანი დასახვრეტი ხართ! ყველანი... სალახანები მშიშრები... ლეომ ისევ მორჩილად დახარა თავი.

— განადგურებულია!!! განადგრებულია!

— ბუდტბუტებდა თავისთვის ლავინი.

— მოგეხსენებათ მრისხანე პარტიზანი კალანდარაშვილის მოქმედებები! ძნელია იმისი გაგება თუ სად არის, ძნელია მისი დაჭერა! იცის მოულოდნელი თავდასხმები! დაიწყო თავის მართლება ლეომ.

— რატომ ფხიზლათ არა ხართ! მტერი ხომ არ გეტყვის ამა და ამ ადგილას დაგეცემიო!

— მაგრამ, თქვენო აღმატებულებავ, ის კრასილნიკოვსაც ხელიდან უსხლტება. ბირიულკასთან სუკინი დაამარცხა და შევიკანამდე დადევნებია!

— მისი ისტორია საჭირო არ არის!

— ლეომ მორჩილების თანახმათ თავი ისევ დახარა.

— მერე ისევ თავის მართლება დაიწყო.

— ჩვენ არ მოველოდით იმიტომ, რომ ცნობა გვქონდა კალანდარაშვილი იყო ოლინდაის ჭალაში ბოკონსკის თემში!

— ცნობა ვინ მოგცათ?!

— მემანქანე ივანე შულიაევის შვილმა ინ...ა შულიაევმა!

— და მერე ცნობა ყალბი გამოდგა, არა?!

— დიახ!

— მერე სად გყავთ ის ახალგაზრდა!

— აქ არის! ბრძანებას ველი მის დასახვრეტად! ლავინი ჩაფიქრდა.

— მე მინდა მას ველაპარაკო დახვრეტის წინ!

— როგორც გნებოთ

— ამიტომ ეხლავე ჩემს ოთახში შეიყვანონ! მალე მოვალ.

— მესმის!

ლეო ადგილიდან არ განძრეულა.

— რას შემომჩერებიხარ გამოჩერჩეტებულო?!

— ბრძანება მაქვს გადასაცემი...

— ბრძანება?

— დიახ!

— მერე, შე სალახანო, ამდენ ხანს ხელში ვიჭერავს! ჩერჩეტი, ლეომ ბრძანება უსიტყვოთ გადასცა.

ლავინმა წაიკითხა.

— „დაიხიეთ უკან, დაიკავეთ სიმაგრენი სადგურ მიხალევთან“ ლავინს ხელები აუკანკანდა და თვალები გაურკვევლობით დააჭყიტა.

— ეს ხომ საშინელი დამარცხებაა ჩვენი!

— რას იზამთ!!! ბრძანებას უნდა დავემორჩილოთ!

დაბალი ხმით, მორიდებით მიმართა ლეომ.

— როგორ?! — აყვირდა ლავინი — ეხლა ეს და გაკლიათ დამორჩილებაც მასწავლოთ! ბრძანების შესრულებაზე შენისთანა ოფიცრებმა მიმითითონ!

— აბა, ამას როგორ გაკადრებთ!

— ხმა! დასახვრეტი ხართ ყველანი, სალახანები, ლაქუცები, ფარისეველნი! არც ერთს არ გაფიქრებთ რუსეთის ბედი! ვმარცხდებით და ეს არ გაფიქრებთ!

ლეო ისევ გაჩუმდა.

ლავინმა რამოდენიმეჯერ განიმეორა...

— მაშ ჩვენ უნდა დავმარცხდეთ! რუსეთი უნდა დამარცხდეს:

რუსეთი ჩვენა ვართ! რუსეთს ჩვენ ვიხსნით!

მერე უცებ მოტრიალდა და ლეოს მიმართა:

— გაეცით განკარგულება — მოემზადონ!

— ჯარი სადგურზე მოგროვდა. გაცემულია ბრძანება რონოდებში მოეწყონა უპასუხა ლეომ.

— ორთქლმავალი?! — შეეკითხა ლავინი.

— არის.

— მემანქანე?!

— არ არის!

— რას უყურებთ! კაცი ვერ გამონახეთ?!

— მხოლოდ ივანე შულიაევი — მამა იმ ახალგაზრდის!

— მერე?!

— მან უარი განაცხადა მუშაობაზე!

—დახვრიტეთ! მორჩა და გათავდა!

—არ ივარგებს!

გიბრძანებთ უნდა შევასრულოთ!

— ჯერჯერობით სხვა არავინ გვყავს და ვერც ვიშოვით!

—მაშინ ძალით ამუშავეთ! შესრულება მყისვე, ვინც არ შეასრულებს—დავხვრეტავ!

სთქვა ეს, ადგა და სახე ასისხლული გაბრაზებული ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან.

* * *

ლავინმა მარცხენა წარბი ასწია, ტუჩის კუთხე ოდნავ გაღიმებით გაშალა და მის წინ მდგომ ინკა შულიაცს ჰკითხა.

—რას იტყვი მაშინ, როცა გათხრილ ორმოსთან დასახვრეტად დაგაყენებენ?! მაშინაც იტყვი რომ, მე არაფერი არ ვიციო?!

—გაუმარჯოს საბჭოებს, გაუმარჯოს ლენინს – აი, ეს მწამს, ეს ვიცი მხოლოდ და თუნდ ჩამომახრჩვეთ, თუნდ ნაკუწნაკუწად ამკაფეთ ყველას გასაგონად ვიყვირებ სიკვდილის წინ!

ლავინი აიბრიზა.

—მე შენ გასწავლი ჭკუას!

დაიღრიალა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გააწნა სილა.

ინკა შებარბაცდა.

ლავინის ნეკის თითის ფრჩხილი თვალებში მოხვდა ინკას და თვალი საშინლად ატკივდა., ბევრა ვერაფერს ვერ არჩევს.

ლავინმა მეორეჯერ საფეთქელთან მიარტყა კიდევ და მერე ჯარისკაცს უბრძანა:

—გაიყვანე! უდაროჯე! ნახევარ საათის შემდეგ, ტყვია ასწავლის მორჩილებას!

ჯარისკაცმა უხმოდ გაიყვანა ინკა.

ლავინი დასისხლულ თვალებით, სახე ალანძული მიუჯდა მაგიდას და ბრძანებაში აღნიშნა:—დაიხვრიტოს!

* * *

გარეთ! დედამიწაზე დაშვებულიყო ღრუბელ დაძონძილი ცა.

ჰქროდა ქარი.

წეწავდა ღრუბელს და ღრუბლების ნაგლეჯები—ხან ერთი ხან მეორე გადაეცემოდა მზეს.

და მზე იყო ისევ ცხოველმყოფელი... და მზე იყო ისევ ისეთი და მზის ქვეშ! სოფლებში, ათას ვერსტზე გადაჭიმულ მინდვრებზე, მდინარეებზე, ზღვებზე, გემებზე, პროვინციალურ დაბებში, თუჯის ქალაქებში, ბოლით შეხრჩოლვილ ქარხნებში, ნესტიან წყალნაჟურ სარდაფებში კედლების შიგნით და კედლების იქით, დღეების გამჭვირვალე სივრცეში და ღამეების შავ ბოლში იშლებოდა სამოქალაქო ომი ცალკე ეპიზოდებად და ამოუშრობ სისხლიან ამბავად.

—და განა შენ არ გესმის ყოველივე ეს?!—ეუბნებოდა ინკა მეორე ოთახში ჯარისკაცს, რომელიც ლავინმა დარაჯად დაუყენა—რად უნდა ვუყუროთ ერთმანეთს ასე—ჩემო ძმობილო! მე ალბათ ეხლავე დამხვრეტენ შენ კი, რას ფიქრობ ამაზე!

—ბარემ არც მე მინდა ვიყო ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ...

—მაგრამ რა?!

—ის, რომ სხვა გზა არა მაქვს!

—წვავენ ქოხებს, გიკლავენ დედებს, ძმებს, დებს მამებს და შენ კი ჩუმად ხარ! განა ეს მოსათმენია, განა შენ ხიშტი ოფიცრების, თუ ვინდ ლავინის სასიკვდილოდ უნდა მიმართო! ქვის გული გქონია, ძმობილო, ამდენს რომ ითმენ!

ამ სიტყვებზე ჯარისკაცი შეტოკდა — რა ეთქვა არ იცოდა.

ინკაც ხედავდა, თუ როგორ მოლბა უცნობი ჯარისკაცი...

—მე ძმაო სახლი დამიწვეს! დედა ჩემი ფეხებში ჩაუვარდა ლავინს, რომ მე არ წავეყვანეთ, მაგრამ ლავინმა ზურგზე მათრახი გადაჰკრა და მე დიდხანს მესმოდა დედის კვნესა! შენ გგონია მე მიხარია, რომ ასე ვარ!!! ცდები, ძმობილო! ღმერთმა დასწყევლოს ჩემი დაბადების დღე! ბრძოლის ველზე მე ტყვიას დავეძებდი რომ მოვეკალი, მაგრამ ტყვიები მხოლოდ თმებს შეჩუჩუნებდენ!

—ეხლა რას იტყვი! როგორ გინდა მოიქცე! —შეეკითხა ინკა.

უცნობი ჯარისკაცი ერთხანს ჩუმად იდგა.

მოაგონდა დედა, დეში ოჯახი, დამარცხებანი, დამცირებანი.

ტანში ცივმა ჟრუანტელმა გაურბინა.

უცებ უცნობმა თოფი იქვე მიაყუდა და მერე ინკას მაგრად ჩაბღუჯა ხელი...

—გავიპაროთ ძმობილო! იარაღი მეორე ოთახშია გამოიტანე შენთვის!

ინკამ სიხარულისაგან—ალტაცებულმა—გადაეხვია და გადაჰკოცნა უცნობი ჯარისკაცი და რამოდენიმე ხნის შემდეგ ორივენი ფანჯრებიდან გადახტენ.

---

## ჩელიაბინსკის „ტრაქტორსტროი"





მარცხნით: „ნორდ-ვესტ" არკანის მუშაობა სადნობ ცეხში.

მარჯვნით: შატურის ტორფის მაღაროებში გაცხარებული მუშაობაა, რათა 1931 წ. ამოღებულ იქმნას 1.669 ათასი ტონა ტორფი. მუშაობს 12.000 მუშა.

# ქართული სახელმწიფო დრამა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

ვ. კირშონის „პ უ რ ი" დადგმა ვ. აბაშიძის, მხატვარი პ. ოცხელი მუსიკა თ. ვახვახიშვილის.

სარეცენზიო დადგმა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის მიღწევაა მიმდინარე სეზონში და ბრწყინვალედ გამართლებული ნაბიჯი—საერთოდ ქართული თეატრის რეკონსტრუქციული პერიოდის ამოცანებისაგან ჩამორჩენის დასაძლევად.



ოლღა — მსახ. ვერიკო ანჯაფარიძე

თეატრმა ზედმიწევნით სწორად გაიგო და გახსნა კირშონის „პური". სპექტაკლი შენდება პიესის ძირითადი პრობლემის, მისი კლასობრივ-პოლიტიკური გეზის ხაზგასმით და გამახვილებით, მიღწეულია სტილის მთლიანობა, სცენები ეფექტიურად დამუშავებულია; სპექტაკლის კომპოზიცია მკვიდრია და მთლიანი.

„პური" უმთავრესად აქტიორული წარმოდგენაა თეატრის მთელი კოლექტივი ოსტატობით და დამუშავებით ანსახიერებს „პურის" პერსონაჟებს. კარგ სახეს ქმნის მსახიობი შალვა ღამბაშიძე მიხაილოვის როლში. ქართულ სცენაზე მან გვიჩვენა ურყევი ბოლშევიკის ნამდვილი ტიპი, სადა და მარტივი მეტყველებით, გონიერული სწორ ხაზოვანი გმირული საქმიანობის გამომხატველი ჟესტით; უდიდეს ძალასა და ნებისყოფის გადმომცემი მოძრაობით, ღამბაშიძის მიერ განსახიერებული მიხაილოვი იზიდავს და იპყრობს აუდიტორიას, გომელაურმა ითამაშა რაევსკის როლი. აქ მსახიობს მოუხდა რთული ამოცანის გადაჭრა: რომანის გმირი რაევსკი, გულწრფელი ბოლშევიკი, დიდი რევოლიუციონერული დამსახურებით, ხშირად თავგანწირული და საერთოდ „სიმპატიური ადამიანი" უნდა განჭცადა აუდიტორიას, როგორც უარყოფითი ტიპი, თავისი პოლიტიკური დაბნეულობის და გადახრების შედეგად საფსებით გამოუსადეგარი ეხლანდელ ეტაპზე. როლის ესწსირთულე გომელაურმა სავსებით ვერ დასძლია.

როგორც ყოველთვის ამ სპექტაკლშიც როლით განსაზღვრული შესაძლებლობის მაქსიმუმს იძლევა ვერიკო ანჯაფარიძე (ოლღა).

„ფოლადის პოემა"-ს, შემდეგ „პური"-ს დადგმით თეატრმა განამტკიცა თავისი ორიენტაცია თანამედროვეობის საკითხებისაკენ. თუ დღემდე ჩვენ გვიხდებოდა გველაპარაკნა ხსენებული თეატრის მხატვრულ პრაქტიკაში, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციის შესახებ, უკანასკნელი დადგმებით თეატრი მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს სდგამს ამ წინააღმდეგობის მოსახსნელად და თვითმიზნური ესტეტიზმის „ნეიტრალურ-აპოლიტიური" სანახაობის წინააღმდეგ, ამ სპექტაკლში თეატრმა თავისი მხატვრული შესაძლებლობანი, ოსტატობა და კვალიფიკაცია დაუქვემდებარა ჩვენს წინაშე მდგომს აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს.

თეატრმა უკანდაუხევლად უნდა განაგრძოს და განამტკიცოს ეს ხაზი. ეს აუცილებელი პირობაა ნამდვილი საბჭოთა თეატრის შემდგომი ზრდის და განვითარებისა, მხოლოდ ამ ნიადაგზე შესაძლებელია გაიშალოს მუშაობა და ბრძოლა ახალი მხატვრული გზებისათვის, თეატრალური მშენებლობის ახალი მეთოდებისათვის. ამ თავითვე უნდა გავაფრთხილოთ თეატრი, რომ მის მიერ მიღწეული გარდატეხა, გაბედული მობრუნება სადღეისო თემატიკისაკენ კიდევ არ ნიშნავს, თეატრის წინაშე რეკონსტრუქტიული პერიოდის მიერ დახურული ამოცანის გადაჭრას, აღებული იდეური პოლიტიკური ბაზასადმი მტკიცედ დაქვემდებარებული ექსპერიმენტალური მუშაობა, ახალი მასალის შესაფარდი მხატვრული მეთოდისათვის ბრძოლა, ოსტატობის ხარისხის შემდგომი გაღრმავება და კვალიფიკაცია, აი ის პირობები, რომლითაც თეატრი შეიძლებს იმ სიმაღლემდე ასვლას, რაც აუცილებელია კულტურული რევოლიუციის მიმდინარე ეტაპზე.



რაევსკი — მსახ. შაქრო გომელაური

თავისებური გაგებით შეასრულა კულაკი კვასოვის როლი ვ. გ ო ძ ი ა შ ვ ი ლ მ ა, კონკრეტულ პიროვნების ნაცვლად, მან სცადა მოეცა განსაზოგადოებული სახე სასიკვდილოდ განწირულ კულაკების, როგორც კლასის, რომელიც უკანასკნელი გაავთრებით იბრძვის არსებობის შესანარჩუნებლად. ის იმუქრება და უნდა დაიჯეროს, რომ ის „მუხაა", რომელსაც ვერაფერი გადასტეხს, მაგრამ სინამდვილის ლოღიკა უჩვენებს, რომ ის მხოლოდ „მავნებელი მცენარეა", რომელსაც დაუზოგავი ხელით ანადგურებს დღევანდელობა. და ამ რიგად შექმნილი მდგომარეობა არა ერთეული ადამიანის, არამედ ისტო-



მიხაილოვ — მსახ. შ. ღამბაშიძე

რიის მიერ განწირული კლასის—აი გოძიაშვილის უმთავრესი თემა და საგანი, რომლითაც იგი მიუდგა კვასოვის განსახიერებას, აქედან. გამომდინარეობს მის შესრულებაში ზედმეტი არტისტიზმის და თეატრალობის შთაბეჭდილება.

პირველ ხარისხოვან შემსრულებელთა რიგში უნდა აღინიშნოს აგრეთვე თ. ჭავჭავაძე (პაშა) შ. ჯაფარიძე, მ. სარაული, ზაქარიაძე, ან. ქიქოძე, პ. მურღულია, გრ. კასტოვა, და პიერ კობახიძე.



კვასოვ — მსახ. გოძიაშვილი

საერთოდ დადგმის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს, რომ ყოველი მომქმედი პირი, მთავარი როლებიდან დაწყებული უსიტყვო პერსონაჟამდე დამუშავებულია ხასიათების ინდივიდუალური თავისებურობის ჩვენებით.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება კიდევ ერთხელ მოწმობს თეატრალური მხატვრის პ. ოცხელის გემოვნებას და მაღალ კვალიფიკაციას.

„პური" ძლიერი, აქტუალური და ღრმა მნიშვნელობის წარმოდგენაა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მასში ცოტაა ექსპერიმენტი, ძიება ახალი თეატრალური შემოქმედების თვალსაზრისით.

თეატრელი

## ჯაყოს და კვაჭის ავტორის ფიქრები



მიხეილ ჯავახიშვილის შეკითხვა მკითხველისადმი: შ. კ.

ჯაყოს ლიკვიდაცია ხდება, როგორც კლასის, მეც ომ ეგ ბედი არ მომელის?.

ტიციან ტაბიძემ დასწერა ტროპიკული პოემა. დასაწყისი არავის უნახავს და დასასრული—კი ავანსით დაბეებული აქვს.



ტიციან ტაბიძე:

მითხარი რტოო, ტროპიკულისავ, სად იზრდებოდი? სადა ხარობდი?

შ. კ.



ინდოეთში.

სტ. პ.სკ. შეკვ 1876. მთ. 1350. ტ. 5600.

ნახ. ირ. თოიძის.